

სკოპინგის დასკვნა N19

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობა;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 21.06.2023;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ბათუმში, შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობის სკოპინგის ანგარიში.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩისა და რკინიგზის სადგურის მიმდებარედ საზღვაო აკვატორიაში (ს/კ 05.30.38.037) ხელოვნური კუნძულის მოწყობას, რომლის შემადგენლობაში იქნება ერთი კუნძული და ორი ნახევარკუნძული. საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 144,3223 ჰა-ს. საპროექტო ტერიტორიას სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ (ს/კ 05.29.01.015) ნავთობპროდუქტების საცავი (დაახლოებით 220 მეტრში), აღმოსავლეთის მხრიდან - საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა (ს-2) სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი). გარდა ამისა, წარმოდგენილია შპს ფაილების გადამოწმების შედეგად, დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 180 მეტრში მდებარეობს შპს „ტერმინალ 1“-ის ნავთობპროდუქტების საცავი და ნავმისადგომი. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 65 მეტრით. საცხოვრებელ ზონასთან ყველაზე ახლოს მდებარე ობიექტია სამშენებლო ბანაკი. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ასევე განთავსებულია საკვები ობიექტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მდებარეობს მდ. ბარცხანა და მდ. კუბასწყალი, რომლებიც ჩაედინება შავ ზღვაში.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ალტერნატივების შესახებ, მათ შორის განხილულია საპროექტო კუნძულის განთავსების ადგილმდებარეობისა და უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატიული

ვარიანტები. დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის 3 ალტერნატიული ვარიანტიდან (I - ქ. ბათუმში ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე საზღვაო აკვატორია; II- მდ. ჭოროხის შესართავის სამხრეთით მდებარე საზღვაო აკვატორია; III-მწვანე კონცხის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე საზღვაო აკვატორია). ზღვის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შედარებით მცირე მასშტაბის, სანაპირო ზოლის მდგრადობის, წყალქვეშა კანიონთან სიახლოვის, ასევე საპროექტო აკვატორიაში წყლის ხელსაყრელი სიღრმეების, საპროექტო წყალქვეშა ფერდის ანთროპოგენური დატვირთვისა და სანიტარულ-ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა I ალტერნატივას.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტი ითვალისწინებს ერთი ხელოვნური კუნძულის და ორი ნახევარკუნძულის მოწყობას, ამასთან, ნახევარკუნძულებისა და კუნძულის ზღვის ტალღების ზემოქმედებისგან დასაცავად, გათვალისწინებულია 3 დამცავი მოლოს მოწყობა. საპროექტო არეალის საერთო ფართობია 144,3223 ჰა, საიდანაც ხელოვნური კუნძულისა და ნახევარკუნძულების, ასევე ნაპირდამცავი მოლების განთავსდება 108,5032 ჰა ფართობის ტერიტორიაზე (უშუალოდ კუნძულისა და ნახევარკუნძულების ტერიტორიების ფართობი იქნება 80 ჰა). სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა, ასევე ითვალისწინებს 555 მეტრი სიგრძის ნავმისადგომის მოწყობას. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ნავმისადგომის პარამეტრებისა და სამშენებლო სამუშაოების შესახებ, ასევე შეფასებული უნდა იქნეს ნავმისადგომის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნახევარკუნძულებისა და ანკერული საყრდენების თხემის ნიშნულები იქნება ზღვის დონიდან 3მ. აღმოსავლეთ და დასავლეთ დამცავი მოლოების თხემის ნიშნული - 6,60მ, ხოლო სიგანე 15,30-დან 24 მეტრამდე. თითოეული დამცავი მოლოს სიგრძე იქნება დაახლოებით 1100 მეტრი. ჯავშნის ფენისთვის გამოყენებული იქნება ე.წ. „XBloc“-ები. სანაპირო დამცავი მოლოს თხემის ნიშნულია +6.20მ, ხოლო სიგანე - 13,331მ-ია. სანაპირო დამცავი მოლოს სიგრძე დაახლოებით 630მ-ია. ჯავშნის ფენისთვის გამოყენებული იქნება „XBloc“-ები. კუნძულს ექნება ღუზის ფორმა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტისთვის გათვალისწინებულია მასალის შემდეგი სიმკვრივეები (ჰიდრაულიკური და კონსტრუქციული პროექტი): - ზღვის წყალი : 1025 კგ/მ³ - კლდოვანი ქანები: 2650 კგ/მ³ - ბეტონი XBloc ჯავშნის ფენისთვის: 2400 კგ/მ³ ხელოვნური სანაპირო მოეწყობა ძირითად მასალაზე. ძირითად მასალასა და ხელოვნური სანაპიროს მასალას შორის მოეწყობა გეოტექსტილის მასალა. ხელოვნური სანაპიროს სიგანე იქნება 3.0 მ, მარცხენა სანაპირო ხაზის სიგრძე იქნება დაახლოებით 450 მ, ხოლო მარჯვენა სანაპირო ხაზის სიგრძე - 470 მ. ხელოვნური სანაპიროს მოწყობა დაგეგმილია ორივე ნახევარკუნძულის წინ.

ხელოვნური კუნძულის სამშენებლო სამუშაოების ვადად განსაზღვრულია დაახლოებით 3,5-4 წელი. სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით, გათვალისწინებულია სამშენებლო ბანაკის მოწყობა, რისთვისაც გამოყენებული იქნება, ხელოვნური კუნძულის საპროექტო აკვატორიის ფარგლებში მოწყობილი ნაპირდამცავი ჯებირის ტერიტორია.

დამცავი კედლის შიგნით მოქცეული ტერიტორიის ფართობი შეადგენს დაახლოებით 12,5 ჰა-ს (GPS კოორდინატები X- 721902, Y-4614392; X- 721848, Y- 4614469; X- 722522, Y- 4615041; X- 722600, Y- 4614987). ქ. ბათუმში შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ შავი ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე 2022 წლის 18 აგვისტოს გაცემულ იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება (N263/ს), რომლის თანახმად ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებარა გზშ-ის პროცედურას. კუნძულის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები შესრულებული იქნება სახმელეთო ნაწილიდან, კერძოდ: სამშენებლო ბანაკის ტერიტორიიდან ეტაპობრივად მოხდება დამცავი მოლოების მოწყობა და მოლოების უკან შექმნილი არეალი შეივსება ქვებით და ინერტული მასალით. ინერტული მასალის შემოტანა საპროექტო ტერიტორიაზე მოხდება ადგილობრივი ლიცენზირებული კარიერებიდან, ხოლო მოლოების მშენებლობისათვის საჭირო სხვადასხვა ზომის ქვების შემოტანა დაგეგმილია თურქეთიდან. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ბანაკის ტერიტორიაზე დაგეგმილია შემდეგი ინფრასტრუქტურის მოწყობა: 160 მ³/სთ წარმადობის ბეტონის კვანძი, სამშენებლო ტექნიკის სადგომი, ბეტონმზიდი მიქსერების სადგომი, ინერტული მასალების საწყობი, დამხმარე სახელოსნო, ტეტრაბლოკების საწარმოო უბანი, დიზელის საწვავის ორი რეზერვუარი (თითოეული 20 მ³ მოცულობით), მზა ბლოკების დასაწყობების უბანი, ამწე მექანიზმი, საოფისე და მუშათა საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები.

მშენებლობის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლისთვის გათვალისწინებულია სამარაგო რეზერვუარის მოწყობა. სამეურნეო დანიშნულებით წყალი აღებული იქნება ქ. ბათუმის წყალმომარაგების ქსელიდან. ტექნიკური დანიშნულების წყლის აღება დაგეგმილია მდ. ბარცხანადან. სამშენებლო სამუშაოებისას ტექნიკური წყალი ძირითადად გამოყენებული იქნება ბეტონის ხსნარის წარმოებისათვის, ამტვერების საწინააღმდეგოდ სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის ზედაპირების დასანამად, ავტოტრანსპორტის საბურავების გასარეცხად და სხვა. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად მოეწყობა 2x20 მ³ ტევადობის ჰერმეტიკული რეზერვუარი, რომელიც პერიოდულად დაიცლება მუნიციპალური სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ დეტალური ინფორმაცია გამოსაყენებელი წყლების რაოდენობისა და წყალმომარაგების საკითხების შესახებ წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში სატრანსპორტო ნაკადებით გამოწვეული ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება მასალების ტრანსპორტირებასთან (ძირითადად მოხდება ინერტული მასალებისა და ლოდები გადაზიდვის ოპერაციების მოლოს მოსაწყობად). მშენებლობის ეტაპზე სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების მიზნით, დაგეგმილია მასალების რკინიგზის ან საზღვაო გზით შემოტანა, მოსახლეობის ინფორმირება სატრანსპორტო გადაზიდვების გრაფიკის შესახებ და სხვა სახის შემარბილებელი ღონისძიებები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებული იქნება მშენებლობისთვის საჭირო

მასალების რაოდენობები, განისაზღვრება შესასრულებელი სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობები და სატრანსპორტო მარშრუტები. გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების შეფასება, სატრანსპორტო ოპერაციების გეგმა-გრაფიკი და ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელება დიდი რაოდენობით სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნასთან დაკავშირებული არ იქნება. მშენებლობის ფაზაზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენები წარმოიქმნება. საყოფაცხოვრებო ნარჩენებს შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ქ. ბათუმის დასუფთავების მუნიციპალური სამსახური გაიტანს ქალაქის ნაგავსაყრელზე. შავი და ფერადი ლითონების ჯართი ჩაბარდება შესაბამის მიმღებ პუნქტებს. სხვა არასახიფათო ნარჩენები განთავსდება სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე. სახიფათო ნარჩენები დროებით განთავსდება დახურულ სათავსოებში და შემდგომი მართვისთვის გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კონტრაქტორს. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნება დეტალური ინფორმაცია ნარჩენების მართვის შესახებ, წარმოსაქმნელი ნარჩენების სახეობების, რაოდენობებისა და მართვის პირობების შესახებ;

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერების შედეგად, საპროექტო აკვატორიის მიმდებარე სახმელეთო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ან არტეფაქტები არ არის წარმოდგენილი. უშუალოდ ხელოვნური კუნძულის მოწყობა დაგეგმილია საზღვაო აკვატორიის ფარგლებში, რაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების მაღალ რისკებთან არ იქნება დაკავშირებული.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ადგილი ექნება საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ვიზუალურ-ლანდშაფტურ ფონზე ზემოქმედებას. აღნიშნული ზემოქმედების შემცირების მიზნით, გათვალისწინებულია სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, როგორცაა: ხელოვნური სანაპიროების მოწყობა, სკვერებისა და სხვა დასასვენებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა და სხვ. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გზმ-ის ანგარიშში შეფასებული იქნება ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებებთან დაკავშირებული ზემოქმედება და წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების სახეებისა და სავარაუდო მასშტაბების შესახებ. დოკუმენტი მოიცავს საველე და კამერალურ კვლევებს. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საველე კვლევებისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საკვლევ ზონაში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 35-მდე, ხელფრთიანების 20-მდე, ფრინველების 300-ზე მეტი, ქვეწარმავლების და ამფიბიების 20-მდე, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. ფაუნისტური კვლევები ჩატარებულია შავი ზღვის ზოობენთოსზე,

ძუძუმწოვრებზე, დამურებზე/ხელფრთიანებზე, ფრინველებზე, ქვეწარმავლებზე, ამფიბიებსა და უხერხემლოებზე. ასევე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონისა და ფლორისტული კვლევების შესახებ. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გზმ-ის ეტაპზე აისახება დეტალური ინფორმაცია ჩატარებული კვლევების შესახებ, ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით დეტალურად იქნება შეფასებული ზემოქმედებების სახეები და მასშტაბები, ასევე წარმოდგენილი იქნება შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში, ბეტონის კვანძის, სამშენებლო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციასთან. ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ძირითადად ზემოქმედება ექნება 160 მ³/სთ წარმადობის ბეტონის კვანძს, რომელიც განთავსდება სამშენებლო ბანაკზე. ასევე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებისა და ხმაურის გავრცელების თვალსაზრისით, აღსანიშნავია სამშენებლო ტექნიკის მოძრაობა. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ზემოაღნიშნული ზემოქმედებების შემცირების მიზნით, გათვალისწინებულია სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, როგორცაა: სამშენებლო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი, ადვილად ამტკვრებადი ტვირთების საპროექტო მოედანზე გადაადგილება მოხდება სპეციალური საფარით აღჭურვილი ავტომანქანების გამოყენებით, ხოლო მშრალი ამინდის პირობებში, დაინამება მისასვლელი გზა და სამშენებლო მოედნის ზედაპირი. მშენებლობის პერიოდში (განსაკუთრებით ნაპირდამცავი მოლოების მშენებლობის პროცესში) მოსალოდნელია ხმაურის გავრცელება წყლის ქვეშ, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს შავი ზღვის ფაუნაზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ხელოვნური კუნძულის დამცავი მოლოების მშენებლობისათვის ხიმინჯების მოწყობა დაგეგმილი არ არის და მშენებლობის პროცესში წყალქვეშა ხმაურის გავრცელების შედეგად მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. **გზმ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული (შესაბამის გაანგარიშებებზე დაყრდნობით) ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება ხმელეთზე და წყალქვეშ. ასევე გაანგარიშებული უნდა იყოს ხმაურის დონეების გავრცელების რადიუსი და პოტენციური ზემოქმედება შავი ზღვის ზოობენთოსზე;**

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ. დოკუმენტში ასახულია გეოლოგიური კვლევის შედეგები, რომლის თანახმად საკვლევის ტერიტორიის ფარგლებში გაბურღულა 21 სანაპირო ჭაბურღილი 38 მ სიღრმემდე. ჭაბურღილებიდან მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით,

საპროექტო რეგიონში გრუნტის დაჯდომასთან დაკავშირებული პრობლემები მოსალოდნელი არ არის. ამასთან, სკოპინგის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ კრიტიკულ რეგიონს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი (BTM-08 და BTM-19 ჭაბურღილები). დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და მასშტაბიდან გამომდინარე, გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია კუნძულისა და ნახევარკუნძულების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შესახებ, ამასთან წარმოდგენილი უნდა იყოს და აღიწეროს ყველაზე უარესი სცენარის გათვალისწინებით, გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ასევე მითითებული უნდა იქნეს საუკეთესო ხელმისაწვდომი პრაქტიკების გათვალისწინებით, ეფექტური საინჟინრო ღონისძიებების გატარების შესახებ დასაბუთებული ინფორმაცია.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შესახებ ინფორმაცია მათ შორის წარმოდგენილია ინფორმაცია შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო კუნძულის მოწყობისას მოსალოდნელია ჰიდრობიონტების საარსებო ჰაბიტატების კარგვა. ხოლო, განსაკუთრებული ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ფსკერულ (ბენტოსურ) პოპულაციებზე. პროექტის განხორციელებით ზემოქმედება ასევე მოსალოდნელია, საპროექტო ზონაში შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეებში იქთიოფაუნის მიგრაციის შეფერხებასთან, ასევე მოსალოდნელია ზემოქმედება შავი ზღვის მუშუმწოვრებზე. გარდა აღნიშნულისა ზემოქმედებები დაკავშირებული იქნება წყლის ხარისხის გაუარესებასთან და ხმაურისა და ვიბრაციით მოსალოდნელი ზემოქმედებებით ქვირითობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიაზე სატოფო ჰაბიტატების არსებობის შემთხვევაში ან/და შავი ზღვის აკვატორიიდან საპროექტო ზონაში ჩამდინარე მდინარეებში სატოფო მიგრაციაზე უარყოფით ზემოქმედებასთან. გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის განხორციელებით, კერძოდ, კუნძულის, ნახევარკუნძულებისა და მოლოების მოწყობის შედეგად, შავი ზღვის წყლის ხარისხსა და ბენტოსზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით. საპროექტო ტერიტორიაზე, საზღვაო აკვატორიაში არსებული ობიექტების შესახებ, მათ შორის აღსანიშნავია: ბათუმის საზღვაო ნავსადგური, უნაპირო ნავმისადგომი და დაცული ნავმისადგომი, რომლებიც სკოპინგის ანგარიშის თანახმად მნიშვნელოვანი მანძილით არის დაშორებული საპროექტო ტერიტორიიდან. გარდა აღნიშნულისა, სამშენებლო სამუშაოების განხორციელება გათვალისწინებულია წყალქვეშა ფერდის 7.5მ სიღრმის არეალში. რაც შეამცირებს ზემოქმედების გავრცელებით გამოწვეულ რისკებს. წარმოდგენილი ინფორმაციით, მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება. კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს შპს „ტერმინალი 1“-ის 7 000 მ³ ტევადობის (130 000 მ³ წლიური ტვირთბრუნვით)

ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა და საზღვაო სატვირთო მისადგომის მშენებლობა-ექსპლუატაცია) პროექტი (სკოპინგის დასკვნა N13 - 16/06/2023).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათ შორის ინფორმაცია გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის რეგიონული წარმომადგენლების მიერ, საჯარო განხილვის შესახებ განცხადებები განთავსდა საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ამასთან, ინფორმაცია განთავსდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 13 ივლისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგის“, ქ. ბათუმში საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვაზე ძირითადად ყურადღება დაეთმო დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების საკითხს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, ასევე გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტეს საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელების წესი. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დასრულების შემდგომ, სააგენტოს წარმომადგენლების მიერ, მოხდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ა(ა)იპ „ფლორა და ფაუნას“ მიერ წარმოდგენილი იქნა დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა კვლევების ოთხივე სეზონზე ჩატარების აუცილებლობას, საკონტროლო სადგურების მიხედვით კვლევების ჩატარების საკითხს, ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელ ცვლილებებს, ბიოლოგიურ გარემოზე კვლევების ჩატარების მნიშვნელობას, ნავთობპროდუქტების ზღვაში გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებების საკითხს და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარებასა და მნიშვნელობას. აღნიშნული შენიშვნები და მოსაზრებები, სკოპინგის დასკვნასთან ერთად გადაეგზავნება საქმიანობის განმახორციელებელს. პროექტთან დაკავშირებით არსებული რელევანტური და საფუძვლიანი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული და აისახა სკოპინგის დასკვნაში.

სკოპინგის პროცედურის შედეგად, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
- 2.1 გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.
4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნიკური პარამეტრების ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული კუნძულის, ნახევარკუნძულების და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განთავსების ალტერნატიული ვარიანტებიდან შერჩეული ალტერნატივების გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
 - საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა-დახასიათება, გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი. მათ შორის: კუნძულისა და ნახევარკუნძულების და მასთან

დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილების დახასიათება, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ისა და GPS კოორდინატების მითითებით;

- საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით) და დასახლებამდე;
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე არსებული მისასვლელი გზებისა და დამატებითი გზების მოწყობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგების შესახებ, გამოსაყენებელი წყლის რაოდენობისა და მოპოვების პირობების მითითებით; ამასთან ინფორმაცია წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის შესახებ, მათ შორის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობის შემთხვევაში ინფორმაცია - გამწმენდი ნაგებობების განთავსების ადგილების, გამწმენდი ნაგებობებიდან გამომავალი წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატების, ნაგებობების წარმადობის, ტექნოლოგიური სქემის და სხვა პარამეტრების მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია გამწმენდ ნაგებობებში წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ (სანიაღვრე სისტემის სქემატურ ნახაზზე ასახვით);
- დეტალური ინფორმაცია ტალღების დამჭერი მოლოების შესახებ (კონსტრუქციების ტიპის, ფიზიკური მახასიათებლების და სხვა პარამეტრების მითითებით), ასევე ინფორმაცია ნაპირდაცვითი სამუშაოების საჭიროების შესახებ. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების ადგილმდებარეობა (GPS კოორდინატების და shp ფაილების მითითებით) და ნაპირსამაგრი ნაგებობების პარამეტრები;
- კუნძულის და ნახევარკუნძულების გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და ექსპლიკაციით;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს კუნძულისა და ნახევარკუნძულების კომუნიკაციებით (ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, საკანალიზაციო სისტემა და სხვ.) უზრუნველყოფის შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;

4.1 სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ, შესაბამისი გეგმა-გრაფიკისა და ვადების მითითებით.
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებულ პირთა საერთო რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა ადგილობრივების წილი;

- მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკისა და რაოდენობების შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ (ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტ(ებ)ის (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე ბეტონის კვანძის მოწყობის შესახებ, შესაბამისი ფიზიკური მახასიათებლების მითითებით. ამასთან, განხილული უნდა იქნეს ბეტონის კვანძის ექსპლუატაციის ეტაპთან დაკავშირებული ზემოქმედების საკითხები;
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის ტერიტორიაზე (არსებობის შემთხვევაში) საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ.

4.2. გზმ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა (მათ შორის მონაკვეთის აღწერა)

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- გზმ-ის ანგარიშში უნდა იქნეს შეფასებული საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური, გეოდინამიკური და გეომორფოლოგიური პირობები, ასევე შესაბამისი კვლევების საფუძველზე სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული გასატარებელი საინჟინრო ღონისძიებები.

4.3. გზმ-ის ანგარიშის ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში და შემდეგ 3 წლის განმავლობაში ჩატარდება ზღვის ბიოლოგიური გარემოს მონიტორინგი და შედეგების მიხედვით განისაზღვრება დამატებითი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები. საჭიროა განხორციელდეს მონიტორინგის წარმოება

სულ მცირე 5 წლამდე ვადით, ხოლო შემდგომ - მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ან სათანადოდ დასაბუთდეს 3 წლის განმავლობაში დაგეგმილი მონიტორინგის საკმარისობა;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით გზშ-ის ეტაპზე ჩატარდება საპროექტო არეალის წყლის ბიოლოგიური გარემოს დეტალური კვლევები, საჭიროა აღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდეს მონიტორინგის გეგმა, რომელშიც აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე (განსაკუთრებით იქთიოფაუნაზე და ორნითოფაუნაზე) დაკვირვების საკითხები, ვადების, ადგილების, ხანგრძლივობის და სხვა პარამეტრების მითითებით. გეგმაში, ასევე მითითებული უნდა იყოს პროექტის განხორციელების შედეგად წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში დამატებით პრევენციული, მათ შორის საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;
- გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ზემოაღნიშნული კვლევის მეთოდოლოგია, მისი გამოყენების მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის დასაბუთებით. აგრეთვე გზშ-ის ანგარიშში, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, დეტალურად და დასაბუთებულად უნდა იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა ინფრასტრუქტურის მოწყობისას წყლის ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, ამ ზემოქმედების სახეებისა და სახეობების/სახეობათა ჯგუფების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ზღვის მუშუმწოვრებზე, ზუთხისებრებზე და სხვა სენსიტიურ რეცეპტორებზე მოსალოდნელი ზემოქმედების გამოვლენაზე, ასევე აღიწეროს მათი სამიგრაციო დერეფნები და განხილულ იქნას სხვა საკვანძო საკითხები. აღნიშნულის მიხედვით უნდა განისაზღვროს შემარბილებელი და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებები;
- გზშ-ს ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დაკარგული ჰაბიტატის აღსადგენად დაგეგმილი საკომპენსაციო ღონისძიებები.

5. პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, მათ შორის ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის (არსებობის შემთხვევაში) მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებები. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს მოწყობის შემთხვევაში

გზმ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;

- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით (ხმელეთზე და ზღვაში) მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, ასევე შავი ზღვის ფსკერზე შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება შავ ზღვასა და ზედაპირული წყლის სხვა ობიექტებზე პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის განხორციელების ფარგლებში, ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების შემთხვევაში გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდჩ) პროექტი;
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ბიოლოგიურ გარემოზე, მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ყურადღება გამახვილდეს შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე, შემარბილებელი/პრევენციული ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მოცემული უნდა იყოს ასევე სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება და აღნიშნული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (გზმ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული იყოს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტ(ებ)ი, რათა გამოირიცხოს შესაძლო არქეოლოგიური ობიექტების დაზიანების რისკები);
- პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის

სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. საზღვაო და სახმელეთო სატრანსპორტო ოპერაციების პერიოდულობა, მარშრუტები და გეგმა-გრაფიკი;

- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ასევე მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ ინფორმაცია;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში შემუშავებული **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა** (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშის აღნიშნულია, რომ ტალღების დელტა ამ ეტაპზე არ არის შესწავლილი. გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს ტალღებისა და ქარის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებების შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო მოლოებით შემოფარგლულ აკვატორიაში წყლის ცირკულაციის საკითხი;
- წარმოდგენილი უნდა იყოს შემომზღუდავი ნაგებობის თხემის შერჩეული ნიშნულის დასაბუთება. ასევე დასაბუთებული უნდა იქნას შემომზღუდავი ნაგებობის წინ ე.წ. კბილის პარამეტრები და ფსკერის დამცავი ქვეშაგები ფენის პარამეტრები;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს აკვატორიაში შემავალი მდინარის საპროექტო საინჟინრო ჰიდროლოგიური მახასიათებლები და მისი გავლენა კომპლექსის ინფრასტრუქტურაზე;

- გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს ჰიდროდინამიკურ პროცესებზე ზემოქმედების საკითხების შესახებ ინფორმაცია ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზღვის აკვატორიაში ექსკავაციის სამუშაოებისას ამოღებული მასალის მოცულობის და მისი მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე აღინიშნება ზღვის ფსკერის ნავთობპროდუქტებით ისტორიული დაბინძურება, წარმოდგენილი უნდა იქნეს მშენებლობის პროცესში ნავთობპროდუქტების დაბინძურებული მასის გავრცელების პრევენციის, დაკონსერვების ან/და გაწმენდის შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია ტურიზმის სექტორზე და რეგიონის ტურისტულ განვითარებაზე;
- ზემოქმედების შეფასება მდ. კუბისწყლისა და მდ. ბარცხანას წყლის ხარისხზე და იქთიოფაუნაზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობის პროცესში, გათვალისწინებული უნდა იქნეს ფსკერის ჰაბიტატებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია მათ შორის, მომზადდეს გარემოზე მიყენებული ზიანის ამსახველი მასალები და დაიგეგმოს შესაბამისი მასშტაბის საკომპენსაციო ღონისძიებები;
- სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ცნობით:
 - გასათვალისწინებელია ხელოვნური კუნძულის შემადგენელი ტალღამჭრელების ფაქტორი, რომლებიც გამოიწვევენ ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან მომავალი ტალღების პერფორაციას და გასათვალისწინებელი იქნება მათი ზეგავლენა არსებულ ნავსადგურზე. აღნიშნულ ფაქტორს ყურადღება უნდა მიექცეს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დროს, ასევე პროექტის მიმდინარეობის თაობაზე, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პროექტის მომიჯნავე შპს „ბათუმის ნავთობტერმინალს“, შპს „ტერმინალ-1“-სა და შპს „იბერია ლიმიტედის“ ადმინისტრაციას, მათი მხრიდან შესაძლო შენიშვნებისა და რეკომენდაციებისათვის;
 - სკოპინგის ანგარიშში მითითებულ ხელოვნური კუნძულის მოწყობის ალტერნატიულ ლოკაციებთან დაკავშირებით, კერძოდ ალტერნატივა № 2 და № 3 განხილვისათვის, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ უნდა განხორციელდეს ანალოგიური პროცესი, რომელიც განხორციელდა №1 ალტერნატივის დამტკიცების დროს;
- საჭიროა ანგარიშში სრულყოფილად იქნეს წარმოდგენილი თევზის სახეობების ანოტირებული სია და დაზუსტებული იქნეს ადგილობრივი და შემთხვევით მოხვედრილ სახეობათა ჩამონათვალი;
- სააგენტოში დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოდგენილ შენიშვნებზე/მოსაზრებებზე რეაგირების/პოზიციის ამსახველი ინფორმაცია;

- ინფორმაცია საპროექტო არეალში შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის: საშუალო წლიური ხარჯების, ჩამონადენის შიდაწლიური განაწილების შესახებ;
- შეზღუდული წყალცვლის პირობებში საპროექტო არეალში შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეებზე ზემოქმედების შეფასება. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მდინარეების შესართავებთან ბიოლოგიურ გარემოზე (გამტკნარების რისკების გათვალისწინებით) ზემოქმედების შესახებ;
- საპროექტო არეალში შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების ზემოქმედების შეფასება სანაპირო ზოლზე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურაზე, შესაბამისი საინჟინრო და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- საპროექტო ტერიტორიის ესაზღვრება საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა (ს-2) სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი). აღნიშნულიდან გამომდინარე, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პოზიცია და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

საპროექტო ტერიტორია ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ბათუმის ხელოვნების ცენტრის ვიზუალური დაცვის არეალში. შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. კერძოდ, ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში სამშენებლო და სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვას გაცემს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სააგენტოს (აჭარაში - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო) თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. **შესაბამისად, პროექტი უნდა შეთანხმდეს აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან.**

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის No18 დადგენილების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში მონაწილეობას იღებს კულტურული მემკვიდრეობის საბჭო, რომელსაც, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო მხოლოდ ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ორგანიზაციულ და მატერიალურ ტექნიკურ უზრუნველყოფას უწევს. მოქმედი რეგულაციის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, შესაბამისი პროექტის წარმოდგენის შემდგომ იმსჯელებს კულტურული მემკვიდრეობის საბჭო და მიიღებს გადაწყვეტილებას ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევაზე დაყრდნობით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობას **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.